თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. თელავი 2022 წლის 22 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხ.თ.ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

მომხს.ნ. ვაყელიშვილი

მოისმინეს 1: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემად მოთხოვნილია მუნიციპალურ საკუთრებაში რიცხული სოფელ აკურაში და ვარდისუბანში არსებული ამბულატორიის შენობები. გადაცემის შედეგად შეიქმნება მათი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობები, რაც წაადგება მოსახლეობის მოთხოვნებს.

დავით ღაღანიძემ დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

დავით ღაღანიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

აზრი გამოთქვეს: **ნათია ვაყელიშვილმა** კომისიას გააცნო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები და აღნიშნა, რომ ისინი გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია.

თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არის შენიშვნები, კერძოდ მომავალ წლის ბიუჯეტის პარამეტრებში არ იკვეთება, მერია ითვალისწინებს თუ არა მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირებას და შემოსავალში არ არის გათვალისწინებული მოსახლეობისთვის ამ სერვისით სარგებლობის თანხა. აღნიშნული განაპირობებდა მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას, გაწეული ხარჯების ბიუჯეტში მნიშვნელოვანი კომპენსაციის გზით.

ასევე, საპრივატიზაციო ნუსხაში რიცხული ოდენობის ქონების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტს გააჩნია საგრძნობი რეზერვი, რომ არაფინანსური აქტივების რეალიზაციის მეშვეობით გაზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები.

ასევე, მერიის შესაბამის სამსახურმა იმსჯელოს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების პროგრამის შეთავაზებული პროექტის 2023 წლის ბიუჯეტში ასახვაზე და გაითვალისწინოს ბიუჯეტის პროექტში პროგრამის გახორციელებისათვის საჭირო დაფინანსება.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკანონმდებლო საფუძველი მოსახლეობისთვის დასუფთავების სერვისით სარგებლობის დაწესებული ტარიფების სახით, გაგვაჩნია მოსაკრებლის შეგროვების სხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკაც და საჭიროა ამ პროცესში მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობა მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისთვის და შეგროვებისთვის.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება **თინათინ ხანჯალიაშვილის** მოსაზრებას და დააყენა წინადადება, რომ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას შემოსავალი არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან დამატებით 500 ათ.ლარის ოდენობით, დაგეგმილი 1500 ათ.ლარის ნაცვლად 2000 ათ.ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მერიას მიეწოდოს კომისიის სხდომაზე გამოთქმული წინადადებები გასათვალისწინებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თინათინ ხანჯალიაშვილი